პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТБ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 197 (9665) | პარასკევი, 21 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ჩამოსვლის გამო — „პრავდის“ 20 აგვისტოს მოწინავე (1-ლი გვერდი).

მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის სიტყვა აეროდრომზე მოსკოვს ჩამოსვლისას (1-ლი გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი (1-ლი გვერდი).

კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ (მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები. — კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 [illegible] ფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. [illegible] პუტატების **მ. კ. დელბას, ა. [illegible] ნაკოევის** სიტყვები (მე-2 და მე-3 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკის სიტყვა რადიოთი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი გერმანიის საკითხის შესახებ (მე-2 და მე-3 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ჩამოსვლის გამო

„პრავდის“ 20 აგვისტოს მოწინავე

დღეს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ჩამოდის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის განვითარებას, აგრეთვე მომწიფებული საკითხების განსახილველად, რომლებიც ეხება მთლიანად გერმანიის პრობლემას.

15 აგვისტოს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხზე და რომელიც შეიცავს საბჭოთა კავშირის შესაბამის წინადადებებს.

საბჭოთა მთავრობა გერმანიის საკითხის გადაწყვეტისას ემყარება იმას, რომ ეს გადაუდებელი საკითხი, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის, შეიძლება მოწესრიგდეს და უნდა მოწესრიგდეს კიდეც. ამ საკითხის გადაწყვეტის გზაზე დაბრკოლებაა პოლიტიკა, რასაც ახორციელებენ დასავლეთის სახელმწიფოები, — ჩაბმა გერმანია აგრესიულ სამხედრო ბლოკში, აგრესიული მილიტარისტული გერმანიის აღორძინების პოლიტიკა.

საბჭოთა მთავრობის ნოტა მთელი დამაჯერებლობით ცხადყოფს, რომ დასავლეთ გერმანიის შეყვანა „ევროპის არმიაში“, აგრეთვე აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შეუძლებელს გახდის აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გაერთიანებას. პარიზისა და ბონის შეთანხმებანი მიმართულია პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ, რომელთა თანახმად დიდმა სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს, შეინარჩუნონ გერმანიის ეროვნული ერთიანობა, უზრუნველყონ გერმანიის გარდაქმნა მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ სახელმწიფოდ.

ცდილობს რა დაამტკიცოს პარიზისა და ბონის შეთანხმებანი, რომლებითაც დამთავრდება დასავლეთ გერმანიის გადაქცევა აგრესიული ატლანტიკის ბლოკის იარაღად, ადენაუერის მთავრობა, რომელმაც თავისი ბედი მთლიანად დაუკავშირა გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა და ევროპაში ახალი ომის მომზადების გეგმებს, ახორციელებს ანტახალხურ პოლიტიკას. ეს პოლიტიკა ხელსაყრელია მხოლოდ რევანშისტებისა და მსხვილი დასავლეთ-გერმანული მონოპოლიებისათვის, რომლებსაც იგი ემსახურება.

დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, 1952 წლის 10 მარტს, საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს განსახილველად წარუდგინა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საფუძვლების პროექტი. საზავო ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს გერმანიის მილიტარიზმისა და გერმანიის აგრესიის აღორძინების შესაძლებლობის აღკვეთა, დაამყაროს გერმანელი ხალხისათვის მშვიდობის მტკიცე პირობები, ხელი შეუწყოს გერმანიის, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს განვითარებას, უზრუნველყოს გერმანელი ხალხისათვის სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის შესაძლებლობა.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს დღემდე არ გამოუთქვამთ თავიანთი დამოკიდებულება ამ პროექტისადმი. უფრო მეტიც, ისინი საერთოდ უარს ამბობენ განიხილონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი იმ უსაფუძვლო საბაბით, რომ ჯერ არ არსებობს სრულიად გერმანიის მთავრობა. მაგრამ, როგორც საბჭოთა მთავრობის ნოტა გვიჩვენებს, სწორედ ეს პოლიტიკა, რომლის მიზანია გერმანიის გათიშვის განმტკიცება და რომელსაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, იწვევს იმას, რომ დაუსრულებლად იდება არა მარტო საზავო ხელშეკრულების საკითხის განხილვა, არამედ აგრეთვე სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნის გადაწყვეტილება.

ითვალისწინებს რა გერმანელი ხალხის კანონიერ ეროვნულ ინტერესებს და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებებს, საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში მოწვეულ იქნას საზავო კონფერენცია ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მონაწილეობით გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად. აღნიშნული ვადის განმავლობაში შესაძლებელი იქნება დამთავრდეს მთელი წინასწარი მუშაობა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების მოსამზადებლად. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნამდე საზავო ხელშეკრულების მომზადებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის არსებულ მთავრობათა წარმომადგენლებს.

საბჭოთა მთავრობამ შემდეგ წამოაყენა წინადადება, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პარლამენტებმა დემოკრატიული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით შექმნან სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა. ასეთი მთავრობა შეიძლება შეიქმნას აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის უშუალო შეთანხმების გზით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ამჟამად არსებული მთავრობების შეცვლის წესით. იმ შემთხვევაში, თუ ეს საძნელო აღმოჩნდება ამჟამად, სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა შეიძლება შეიქმნას ისე, რომ რამდენიმე ხნით დარჩნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობები. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნა რეალური წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა გერმანიის გაერთიანების გზაზე, რაც მთლიანად უნდა დამთავრდეს სრულიად გერმანიის ნამდვილად თავისუფალი არჩევნების საფუძველზე სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნით.

იმ მიზნით, რომ შემსუბუქდეს გერმანიის საფინანსო-ეკონომიური ვალდებულებანი, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, რომ 1954 წლის 1 იანვრიდან გერმანია მთლიანად განთავისუფლდეს რეპარაციების გადახდისაგან, ისევე როგორც ოთხი სახელმწიფოსათვის ომისშემდგომი სახელმწიფო ვალების გადახდისაგან, გარდა სავაჭრო ვალდებულებით დავალიანებისა. საჭიროდ მიაჩნია რა შემცირდეს გერმანიის ტერიტორიაზე ოთხი სახელმწიფოს ჯარების ყოფნასთან დაკავშირებული ხარჯები, საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ ამ ჯარების შენახვის ხარჯების თანხა წელიწადში არ აღემატებოდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 5 პროცენტს და ყოველ შემთხვევაში არ აღემატებოდეს 1949 წლის საოკუპაციო ხარჯების თანხას, როცა ამ ხარჯების ოდენობაზე ჯერ კიდევ გავლენა არ მოეხდინა აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შექმნას. როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა აღნიშნა თავის სიტყვაში, დასავლეთ გერმანიის საოკუპაციო ხარჯები 1949 წლიდან 1953 წლამდე გაიზარდა 3,9-დან 9,3 მილიარდ დასავლეთის მარკამდე. საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა აგრეთვე მთლიანად განთავისუფლდეს გერმანია ოთხი სახელმწიფოს საგარეო საოკუპაციო ხარჯების დავალიანების გადახდისაგან, რომელიც შეიქმნა 1945 წლის შემდეგ.

საბჭოთა მთავრობამ თავის ნოტაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის, როგორც დიდი სახელმწიფოს აღორძინება, რომელიც ღირსია შესაბამისი ადგილი დაიკავოს სხვა სახელმწიფოთა შორის, შესაძლებელია მხოლოდ გერმანიის სახელმწიფოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების გზით, იმ სახელმწიფოებთან მეგობრული თანამშრომლობის გზით, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობის განმტკიცებას და საერთაშორისო უშიშროებას.

ეს იდეა გამოხატულია აგრეთვე საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების დღიდან ეს მეგობრული ურთიერთობა განუხრელად მტკიცდებოდა და ვითარდებოდა.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარებული მტკიცე მეგობრული ურთიერთობის გამო საბჭოთა მთავრობა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს შორის შეთანხმების შესაბამისად ყოველმხრივ დახმარებას უწევდა გერმანიის მოსახლეობას, როცა ეს საჭირო იყო.

წარმატებით ვითარდება ეკონომიური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. საქონელბრუნვა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის 1953 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა 1952 წელთან შედარებით. იგი აღემატება გეგმას, რომელიც დასახულია ამ წლისათვის 1951 წელს დადებული გრძელვადიანი შეთანხმებით.

მტკიცდება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, ვითარდება და ძლიერდება კულტურული ურთიერთობა.

ასე წლითიწლობით მტკიცდება საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. საბჭოთა კავშირი მუდამ უწევდა დახმარებასა და მხარდაჭერას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიისათვის ბრძოლის დასაყრდენია.

მიიღო რა საბჭოთა მთავრობის მოწვევა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის პატრიოტები მხურვალედ მიესალმებიან მოლაპარაკებას მოსკოვში, რადგან ეს მოლაპარაკება ხელს შეუწყობს გერმანელი ხალხის გადაუდებელი ეროვნული მოთხოვნების რაც შეიძლება მალე განხორციელებას.

საბჭოთა საზოგადოებრიობა თავის მხრივ დარწმუნებულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა შესაძლებელს გახდის დაწვრილებით იქნას განხილული გერმანიის საკითხი და ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში.

მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 20 აგვისტოს მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვ. ულბრიხტი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ო. ნუშკე, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და მშენებლობის მინისტრი დოქტორი ლ. ბოლცი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი დოქტორი გ. ლოხი, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ე. კორენსი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ. ლეგენერი, გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე გ. ვარნკე, თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, სოფლისა და საკუთრეობის მინისტრი გ. როიტელტი, საგარეო და შინაგერმანული ვაჭრობის მინისტრი კ. გრეგორი, მეტალურგიული და სამთამადნო მრეწველობის მინისტრი ფ. ზელბმანი, მოსკოვში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაური რ. აპელტი, გერმანიის დემოკრატ ქალთა კავშირის თავმჯდომარე ი. ტილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ჰ. ფლორინი, დელეგაციის მდივანი — ლ. ოიზერმანი. დელეგაციას თან ახლავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ფ. ტუნი.

ცენტრალურ აეროდრომზე ჩამოსულთ შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ზ. საბუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ი. გ. კაბანოვი და ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი გერმანიაში ელჩი ვ. ს. სემიონოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ევროპის მე-3 განყოფილების გამგე გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ი. ფ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ვ. პასტოევი და აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ჩამოსულთ აგრეთვე შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაური რ. აპელტი დიპლომატიური მისიის სხვა წევრებთან ერთად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ს. ბლაგოევა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ა. სკლადანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიმ ხე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გუენ ლონგ ბანგი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული გე ბაოციუანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული შ. დუკუ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ა. მალეცკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული დ. ეჩნი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ნ. ლუვსანჩულტემი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული უ. ლიულე.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. (საკდესი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის სიტყვა აეროდრომზე მოსკოვს ჩამოსვლისას

ძვირფასო მეგობრებო,
ძვირფასო ამხანაგებო,

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა — დელეგაცია მიესალმება მოსკოვის — სსრ კავშირის სახელოვანი დედაქალაქის — მოსახლეობას და მთელ საბჭოთა ხალხს, რომელიც მშვიდობიან მშენებლობაში თავისი თვალსაჩინო მიღწევებით მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცებას იწვევს. ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომელიც სარგებლობს მთელი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობით და მთელი მსოფლიოს ყველა პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ადამიანის პატივისცემით და პატივით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და მასთან ერთად ყველა გერმანელი პატრიოტი მადლობას უძღვნის სსრ კავშირის მთავრობას მთავრობის დელეგაციის მიწვევისათვის, რათა პირდაპირი მოლაპარაკების გზით განხილულ იქნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობის განვითარების საკითხები, აგრეთვე მომწიფებული საკითხები, რომლებიც მთლიანად გერმანიის პრობლემას ეხებიან.

ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი ჩვენს ქვეყანაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის პატრიოტები მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის მთავრობის ამა წლის 15 აგვისტოს ნოტას საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მიწვევას მოსკოვს, რადგან მათ ეს მიაჩნიათ გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ მოლაპარაკებით დაიწყება ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა გვაქვს გამოვთქვათ დიდი მადლობის გრძნობა იმ სულგრძელი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რასაც დიდი საბჭოთა ხალხი მუდამ უწევს მშვიდობისმოყვარე გერმანელ ხალხს მშვიდობისა და დემოკრატიის პირობებში ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში.

გერმანელი ხალხი აღტაცებით ადევნებს თვალყურს გრანდიოზულ შემოქმედებითს შრომას სსრ კავშირში და მთელი სულითა და გულით უსურვებს საბჭოთა კავშირის ხალხებს ახალ დიდ წარმატებებს კომუნიზმში გადასვლის საქმეში.

დე გაუმარჯოს და ყვავოდეს საბჭოთა ქვეყანა — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის ურყევი ბურჯი.

გაუმარჯოს სსრ კავშირის მთავრობას და საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

გაუმარჯოს მშვიდობისმოყვარე გერმანელ ხალხსა და საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე ხალხებს შორის მტკიცე, ურღვევ მეგობრობას.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი

20 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის უმაღლესი კომისარი გერმანიაში ელჩი ვ. ს. სემიონოვი.

ლენინგრადის საწარმოებში

შალის ქსოვილები

ტელმანის სახელობის წმინდა და ტექნიკური მაუდების კომბინატის კოლექტივი ადიდებს სხვადასხვა გაფერადების საკოსტიუმე შალის ქსოვილების გამოშვებას. ერთიორად გადიდდა დრაფ „ველურის“ წარმოება. 13 აგვისტოს გეგმის გადამეტებით დამზადდა ახალი რამდენიმე სორტის 700 მეტრი ქსოვილი. უახლოეს ხანში დაიწყება კიდევ რამდენიმე სორტის წმინდა ქსოვილის გამოშვება.

საწარმო აღჭურვება სრულყოფილი ტექნიკით, რომლითაც შესაძლებელი გახდება ბევრად გადიდდეს პროდუქციის გამოშვება მოსახლეობისათვის.

წლის დამდეგიდან კომბინატის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა 250 ათას მეტრზე მეტი კარგი ხარისხის შალის ქსოვილები.

რეზინის ფეხსაცმელი

რეზინის ფეხსაცმლის ხარისხის გასაუმჯობესებლად დიდ მუშაობას ეწევიან ჭარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკის“ მუშაკები. ქალის ფეხსაცმელზე ენოპების უკეთ დასამაგრებლად ბოტების საამქროში ამუშავდა ახალი პნევმატური მანქანა.

14 აგვისტოს ჭარხანაში მწყობრში ჩადგა ბოტების გასალაქავი ორი მექანიკური ელევატორი. ეს არა მარტო აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, არამედ 20 პროცენტითაც ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

დნეპრჰესმა შეასრულა ათი თვის გეგმა

ზაპოროჟიე, 17 აგვისტო. (საკდესი). ლენინის სახელობის დნეპრჰესის კოლექტივმა საწარმოო გამარჯვება მოიპოვა: ვადამდე დაამთავრა ელექტროენერგიის გამომუშავების ათი თვის გეგმა.

მოწინავე საწარმოები

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრომ განიხილეს ფართო მოხმარების საქონლის გამომშვები საწარმოების, მშენებლობებისა და საამქროების 1953 წლის მეორე კვარტალის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. გადაწყდა დაუტოვონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები ქაღალდის ფაბრიკებს „მაიაკ რევოლუციის“ და „კომუნარს“, სარატოვის ავეჯის ფაბრიკას, ირკუტსკის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს.

შვიდ საწარმოსა და საამქროს შეუნარჩუნეს საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები, 17 საწარმოს და საამქროს მიეკუთვნა ასეთი დროშები.

(საკდესი).

თათრეთის ნავთობის მუშაკთა შრომითი გამარჯვება

ყაზანი, 18 აგვისტო. (საკდესი). თათრეთში მოწინავე ტრესტ „ბავლინნეფტის“ კოლექტივმა ახალი წარმატება მოიპოვა. გუშინ მან შეასრულა თხევადი სათბობის ამოღების რვა თვის გეგმა. პირველი სარეწის ნავთობის მუშაკები უკვე მესამე დღეა ნავთობს სექტემბრის ინგარიშში იღებენ.

130 მილიონი სახელმძღვანელო

რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის გამომცემლობამ შეასრულა სასკოლო სახელმძღვანელოების გამოშვების გეგმა. გამოშვებულია რუსული ენის, მათემატიკის, ფიზიკის, ლიტერატურის, ისტორიის, ქიმიის, გეოგრაფიის, ასტრონომიის, ბიოლოგიისა და სხვა დისციპლინების 130 მილიონი სახელმძღვანელო. ყველა ისინი დაეგზავნა სავაჭრო ორგანიზაციებს.

წელს პირველკლასელები მიიღებენ ახალ ანბანს, პირველი და მეორე კლასების მოსწავლეები — რუსული ენის ახალ სახელმძღვანელოებს. მეშვიდეკლასელებისათვის გამოშვებულია ხაზის ახალი სახელმძღვანელო.

მოსკოვის, ლენინგრადის, გორკის, პენზის, სტალინგრადის, სვერდლოვსკისა და რუსეთის ფედერაციის სხვა ქალაქების სკოლებში დაიწყო სახელმძღვანელოების გაყიდვა. (საკდესი).

მეორე ადგილზე საბჭოთა კავშირში

ქუთაისი, 18 აგვისტო. ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატში მიღებულია ცნობა, რომ მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით საწარმოს მიეკუთვნა მეორე ადგილი საბჭოთა კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. კომბინატმა მეორე კვარტალის დავალება 132 პროცენტით გაანაღდა და ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 6 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. 32 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო 2,5 პროცენტით გაადიდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

მეფეხსაცმელეები ახლა გაორკეცებული ენერგიით იბრძვიან უკეთესი მაჩვენებლებისათვის.

ზესტაფონელ და ზაპოროჟიელ მეგალურგთა შეჯიბრება

ზესტაფონი, 18 აგვისტო. წარმატებით გრძელდება ქართველ და უკრაინელ მეტალურგთა ტრადიციული შეჯიბრება, ზესტაფონისა და ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნების კოლექტივები იბრძვიან საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. მრავალ ქართველ და უკრაინელ მეტალურგს შორის დადებულია სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. მეგობრულ მიმოწერაში ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ამ დღეებში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე მდნობელმა ბრიგადირმა ი. აბესაძემ უკრაინიდან მიიღო ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის უფროსი მდნობელის ვ. ბელოუსოვის წერილი. ვ. ბელოუსოვი წერს, რომ მისმა ბრიგადამ წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით 29,9 ტონა შენადნობი გამოუშვა, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 17,5 ტონისა და დიდძალი ელექტროენერგია დაზოგა.

ი. აბესაძემ ეს წერილი გააცნო თავის ბრიგადის წევრებს, რამაც მდნობელთა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ი. აბესაძის ბრიგადამ გადაწყვიტა კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა მეტი ლითონის გამოშვებისათვის. ბრიგადამ აგვისტოში წინა თვესთან შედარებით თითქმის ერთიორად გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. პარტიის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით, რაც მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე, შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 139 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 139. მშრომელთა ინტერესების შესაბამისად და ხალხის მასების ორგანიზაციული თვითმოქმედებისა და პოლიტიკური აქტივობის განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია უფლება გაერთიანებისა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში: პროფესიულ კავშირში, კოოპერაციულ გაერთიანებაში, ახალგაზრდობის ორგანიზაციაში, სასპორტო და თავდაცვის ორგანიზაციაში, კულტურულ, ტექნიკურ და სამეცნიერო საზოგადოებაში, ხოლო ყველაზე აქტიური და შეგნებული მოქალაქენი მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის რიგებიდან ნებაყოფლობით ერთიანდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც მშრომელთა მოწინავე რაზმია მათს ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის და წარმოადგენს მშრომელთა ყველა, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბირთვს“.

2. შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 16 აპრილის ბრძანებულებისა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თბილისის და ქუთაისის ოლქების ლიკვიდაციის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1953 წლის 23 აპრილის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის ტექსტიდან ამოღებული იქნას ის მუხლები და სიტყვები, რომლებიც შეტანილი იყო საქართველოს სსრ შემადგენლობაში თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნასთან დაკავშირებით.

ა) გაუქმდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 85-ა, 90-ა, 101-ა და 104-ა მუხლები.

ბ) საქართველოს სსრ კონსტიტუციის 14 მუხლის „ე“ და „კ“ პუნქტი, მუხლი 19, 36 მუხლის „ე“ პუნქტი, 48 მუხლის „დ“ პუნქტი, მუხლები — 49, 84, 85, 88, 102, 103, 105, 106, 107, 122, 128 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 14. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით:

ე) აწესებს რაიონების, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების საზღვრებს და ქმნის ახალ რაიონულ, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოებს; ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ასს რ-ების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს ახალი სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების, მსხვილ ქალაქებში რაიონული საბჭოების შექმნისა და მათი საზღვრების შეცვლის შესახებ“.

კ) „ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის და აჭარის ავტონომიური სსრ-ის ბიუჯეტებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების და ქალაქების ადგილობრივი ბიუჯეტების განხორციელებას“.

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, კაჩრეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქლუხორის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის, ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„მუხლი 36. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:...

ე) აუქმებს საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს და ავტონომიურ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს, თუ ისინი კანონს არ შეესაბამებიან“.

„მუხლი 48. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭო:...

დ) წარმართავს და ამოწმებს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას, ხელმძღვანელობს და ამოწმებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობას“.

„მუხლი 49. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი და აგრეთვე შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს საქართველოს სსრ-ის მინისტრთა ბრძანებები და ინსტრუქციები“.

„მუხლი 84. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რაიონებსა, ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში არიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“.

„მუხლი 85. მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო, დიდი ქალაქების რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს ირჩევენ შესაბამისად რაიონის, ქალაქის, დაბის და სოფლის მშრომელები ორი წლის ვადით“.

„მუხლი 88. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოები აირჩევიან ნორმით: ერთი დეპუტატი 100 მცხოვრებზე; იმ სოფლებსა და დაბებში, სადაც მოსახლეობა 1.000 კაცამდეა, ირჩევენ 9 დეპუტატს, ხოლო სადაც მოსახლეობა 3.500 აღემატება, — არაუმეტეს 35 დეპუტატისა.

საარჩევნო ნორმებს მშრომელთა დეპუტატების თვითეული რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებისათვის აწესებს „დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ“ იმ საარჩევნო ნორმების ფარგლებში, რომლებიც აღნიშნულია 86, 87 მუხლებში და ამა მუხლში“.

„მუხლი 102. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტების სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამმართველოს და შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;
ვაჭრობისა;
კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;
კულტურისა;
საგეგმოს;
საგზაოს;
საერთოს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, რაიონის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები ქმნიან ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას“.

„მუხლი 103. რაიონის პირობების შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ-ის კანონების საფუძველზე საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ქმნის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებთან თავის განყოფილებებს“.

„მუხლი 105. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი და სამმართველო თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ-ის სათანადო სამინისტროს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ავტონომიური რესპუბლიკის სათანადო სამინისტროს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას ან სამმართველოს“.

„მუხლი 106. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი და სამმართველო თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან, როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას ან სამმართველოს და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის სათანადო სამინისტროს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ავტონომიური რესპუბლიკის სათანადო სამინისტროს ან ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას ან სამმართველოს“.

„მუხლი 107. თბილისის, გორის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი და სამმართველო თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან, როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ-ის სათანადო სამინისტროებს“.

„მუხლი 122. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს ირჩევს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ხუთი წლის ვადით“.

„მუხლი 128. საქართველოს სსრ-ის, აფხაზეთის ასსრ-ის და აჭარის ასსრ-ის პროკურორრებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორს ნაშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ხუთი წლის ვადით“.

გ) 89 და 95 მუხლების ტექსტიდან ამოღებულ იქნას სიტყვა „ოლქის“.

93, 96, 101, 116 და 147 მუხლების ტექსტიდან ამოღებულ იქნას სიტყვა „საოლქო“.

117 მუხლის ტექსტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „საოლქო სასამართლოები“.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გარდაქმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის სამინისტროდ, შეტანილ იქნას ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 56 მუხლის ტექსტში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;
საქართველოს სსრ მინისტრები:
ადგილობრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;
კულტურისა;
მსუბუქი და კვების მრეწველობისა;
საგარეო საქმეთა;
საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობის და დამზადებათა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე“.

„მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

ადგილობრივი მრეწველობისა; განათლებისა; კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა; საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობისა; სოციალური უზრუნველყოფისა“.

4. სამინისტროების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებების გარდაქმნასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას შესაფერისი ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72, 81, 104 მუხლის ტექსტში, და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 72. ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;
მინისტრები:
ადგილობრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
იუსტიციისა;
კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;
კულტურისა;
სოფლის მეურნეობის და დამზადებათა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა;

და, გარდა ამისა, რესპუბლიკის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დამტკიცებით.

მინისტრები:
მსუბუქი და კვების მრეწველობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა“.

„მუხლი 81. სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ქმნის შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;
ვაჭრობისა;
კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;
კულტურისა;
საგზაოს;
საერთოს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობენ სამმართველოები:

ადგილობრივი მრეწველობისა;
იუსტიციისა;
სოფლის მეურნეობის და დამზადებათა;
შინაგან საქმეთა სამინისტროსი“.

„მუხლი 104. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები ქმნიან აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებს:

განათლებისა;
ვაჭრობისა;
კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;
კულტურისა;
საგეგმოს;
საგზაოს;
საერთოს;
საფინანსოს;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
კადრების სექტორს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან;

და, გარდა ამისა, ქალაქის მრეწველობის და საგარეუბნო მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა სამმართველოს.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შემადგენლობაში ახალი რაიონების შექმნასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას შესაფერისი ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 20 და 21 მუხლების ტექსტში, და აღნიშნული მუხლები გამოიხატოს შემდეგნაირად:

„მუხლი 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება ახალი ათონის, გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სუხუმის რაიონებისაგან და ქალაქების: სუხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„მუხლი 21. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: ბათუმის, ქედის, ქობულეთის, შუახევის და ხულოს რაიონებისაგან და ქალაქ ბათუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ძვლიერიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 19 აგვისტო.

„სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების“ 7 მუხლის ცვლილებების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 12 თებერვლის ბრძანებულება „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების 7 მუხლის ცვლილების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიერიძე.

ქ. თბილისი. 1953 წლის 19 აგვისტო.

„სასამართლოში შეგანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 3 იანვრის დადგენილების 4 მუხლის ცვლილებების თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 12 თებერვლის ბრძანებულება „სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 3 იანვრის დადგენილების 4 მუხლის ცვლილებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიერიძე.

ქ. თბილისი. 1953 წლის 19 აგვისტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ **მ. კ. დელბას** სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებმა და სესიაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვამ ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი.

აფხაზეთის ასსრ მშრომელებმა, მთელ ქართველ ხალხთან, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, მეხუთე სესიის დადგენილებათა პასუხად ნათლად ცხადყვეს თავიანთი გადაწყვეტილება — გაამრავლონ თავიანთი წვლილი ჩვენი სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სსრ 1953 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია ამ სესიის განსახილველად, საერთო-საკავშირო ბიუჯეტის ორგანული ნაწილია და მთლიანად უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა დაფინანსებას. ჩვენი ამოცანაა მივიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ შევასრულოთ ბიუჯეტის შემოსავლის გეგმა, უზრუნველყოთ ბიუჯეტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დროულად დაფინანსება და უსასტიკესი მომჭირნეობის დაცვა სახელმწიფო სახსრების გამოყენებაში.

მიმდინარე წლის დამდეგიდან აფხაზეთის ასსრ ადგილობრივ მრეწველობაში გაწეულია მუშაობა საშენ მასალათა მთელი რიგი ქარხნების რეკონსტრუქციისათვის. უახლოეს ხანში მნიშვნელოვნად გადიდდება აგურის, კრამიტის, კირის გამოშვება. მაგრამ, მოვახდინეთ რა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა რეკონსტრუქცია, ჩვენ ამავე დროს ვერ მივაღწიეთ საშენ მასალათა წარმოების გეგმების შესრულებას. მიმდინარე წლის შვიდ თვეში ქვეყანას დავაკელით 2 მილიონი ცალი აგური. ამჟამად, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად, დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ დავძლიოთ ჩამორჩენა საშენ მასალათა წარმოების გეგმის შესრულებაში.

ჩვენი ადგილობრივი მრეწველობის მუშაობაში ნაკლს წარმოადგენს ისიც, რომ მთელი რიგი საწარმოები არ იცავენ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმილ ასორტიმენტს, არღვევენ ხარისხის სტანდარტებს.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა გვავალებს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის განუხრელ აღმავლობას.

1953 წელს კოლმეურნეობებში შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის შედეგად დროზე არ შესრულდა თამბაქოს რგვის, სიმინდისა და ბოსტნეული კულტურების თესვის გეგმები. გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაგვიანებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსავლიანობის მდგომარეობაზე.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სამი თვის გეგმა აფხაზეთმა შეასრულა. გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 390 ტონა. მაგრამ აგვისტოში, შრომის ცუდი ორგანიზაციის გამო, ჩაის ფოთლის კრეფის ტემპები შენელდა. ჩვენ მივიღეთ საჭირო ღონისძიებანი აგვისტოს გეგმისა და წლიური გეგმის უთუოდ შესრულებისათვის. ამასთან ერთად ამჟამად სერიოზული ყურადღება ექცევა ნედლეულის ხარისხის ამაღლებას.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბოროტმა მტერმა ბერიამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობას. საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ ბერიას მტრული საქმიანობის შედეგები. ამ მიზნით ვახდენთ აფხაზეთის როგორც რაიონებს შორის, ისე რაიონებს შიგნით — კოლმეურნეობებს შორის კულტურების განლაგების გადასინჯვას.

ვლაპარაკობთ რა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ახალ კანონს, რომელიც ხელს შეუწყობს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდებას.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის მოითხოვს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის გადაჭრით გაუმჯობესებას. ჩვენ გვაქვს ვაჭრობის საკმაოდ ფართო და განვითარებული ქსელი როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაქვს საჭირო კულტურა საბჭოთა მომხმარებლის მომსახურებაში.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

კამათი საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ მ. კ. დ ე ლ ბ ა ს სიტყვის დასასრული

აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს სსრ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 160.342 ათასი მანეთის ოდენობით, უზრუნველყოფს რესპუბლიკის 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულ ძირითად ღონისძიებათა დაფინანსებას. ბიუჯეტის შესრულების პროცესში საჭიროა გავითვალისწინოთ მთელი ჩვენი რესურსები, ეფექტიანად გამოვიყენოთ ისინი და გადაჭრით შევწყვიტოთ საფინანსო დისციპლინის დარღვევები.

აქ გამოსულ სხვა დეპუტატებთან ერთად წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს ამ სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ ბიუჯეტი.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია, რომელიც ამ დღეებში შედგა მოსკოვში, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციას, ხოლო სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავების საწინდარია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტერს, საერთაშორისო იმპერიალიზმის პირწავარდნილ აგენტს ბერიას სურდა შეერყია, დაენგრია საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობა და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობა დიდ რუს ხალხთან. ეს არასოდეს არ მოხდება!

ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო და თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიდ საქმეში. (ტაში).

ამხ. გ. გ. ს ა ნ ა კ ო ე ვ ი ს სიტყვა

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტი, როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი, მკაფიოდ ასახავს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის დიად გამარჯვებას, საბჭოთა ხალხების ურღვევი ერთიანობისა და ძმობის გამარჯვებას, წარმოადგენს საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის გამოვლინებას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი განუყრელად დაკავშირებულია საქართველოს სსრ ბიუჯეტთან და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ოლქის 1953 წლის ბიუჯეტის საერთო მოცულობა განსაზღვრულია 63.724 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 1952 წლის ბიუჯეტს აღემატება 3.598 ათასი მანეთით.

ომამდელ 1940 წელთან შედარებით ჩვენი ოლქის ბიუჯეტი 1953 წელს 96 პროცენტით იზრდება, ხოლო 1930 წლის ბიუჯეტთან შედარებით — 32-ჯერ.

ჩვენი ოლქის ბიუჯეტის სახსრებიდან 50.849 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე, რაც ბიუჯეტის საერთო თანხის 79,7 პროცენტს შეადგენს, აქედან სახალხო განათლებაზე — 33 მილიონამდე მანეთი.

პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის, ქართველი ხალხისა და დიდი რუსი ხალხის დახმარების მეოხებით, სამხრეთ ოსეთი ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა მოწინავე, კულტურულად და ეკონომიურად განვითარებულ ავტონომიურ ოლქად.

ჩვენს ოლქში დიდად განვითარდა ადგილობრივი მრეწველობა, ხორციელდება ქალაქ სტალინირისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობა.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში ჩვენ გვაქვს ფრიად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი, ხოლო ზოგჯერ — უხეში შეცდომები.

საკოლმეურნეო წარმოებაში არადამაკმაყოფილებლად ინერგება თანამედროვე აგროტექნიკის მიღწევები, დაცული არ არის აგროტექნიკური ვადები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებაში.

მეტად დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, შეუწყნარებლად დაბალია აგრეთვე საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ჩვენში სუსტად არის დაყენებული შრომის დისციპლინა კოლმეურნეობებში, დაბალია კოლმეურნეთა შრომადღის ანაზღაურების დონე.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საბინაო და საკულტურო მშენებლობას სოფლებში, აგრეთვე ქალაქის, რაიონული ცენტრებისა და კოლმეურნეობების ელექტროფიკაციის საკითხს.

უეჭველია, ნაკლოვანებანი მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში გაცილებით ნაკლები გვექნებოდა, ოლქის ხელმძღვანელობა, აგრეთვე რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები უკეთ რომ მუშაობდნენ, სამინისტროებსა და რესპუბლიკის მთავრობას დღემდე მეტი ყურადღება რომ მიექციათ ჩვენი ოლქისათვის.

მინდა ვაცნობო სესიას, რომ ამ ბოლო დროს ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ დასახეს სერიოზული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკის აღმავლობისაკენ, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისაკენ.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ სწრაფად აღმოვფხვრათ ოლქის ყოფილი ხელმძღვანელების მიერ დაშვებული შეცდომები, დავრაზმოთ მშრომელთა ფართო მასები მათ წინაშე დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მთლიანად და სავსებით ვიწონებ საქართველოს სსრ 1953 წლის ბიუჯეტის პროექტს და გთხოვთ დაამტკიცოთ იგი.

ამავე დროს ვთხოვ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დამატებით შეიტანოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 1953 წლის ბიუჯეტში სახსრები შემდეგ ღონისძიებათათვის: ქალაქ სტალინირის კეთილმოსაწყობად — 400 ათასი მანეთი, წყალსადენის მშენებლობისა და წინათ დაწყებული წყალსადენის დასამთავრებლად ლენინგორში — 80 ათასი მანეთი, ადგილობრივი კურორტების კეთილმოსაწყობად ზნაურის რაიონის სოფელ ნაგუთნში, ჯავის რაიონის სოფელ კოდებინში და ლესაში, აგრეთვე ლენინგორის რაიონის ყანჩავეთში — 100 ათასი მანეთი, ხეთაგუროვის სახელობის საშუალო სკოლის დაზიანებული შენობის აღსადგენად და მდინარე ლიახვის ადიდების შედეგების საფიკვიდაციოდ 1.200 ათასი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! დიდი ამოცანები, რომლებიც წარმატებით უნდა გადაიჭრას 1953 წელს, თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვს თავდადებულ შრომას სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ყველა უბანზე.

საბჭოთა ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს საბჭოთა კავშირის გმირ და დიად კომუნისტურ პარტიას.

ჩვენი მამისა და მასწავლებლის გენიალური ლენინის, დიდი ლენინის მოწაფისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინის და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტია წარმოადგენს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების წამყვან, ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას.

ჩვენ, სამხრეთ ოსეთის კომუნისტები და ყველა მშრომელნი, არ დავიშურებთ ძალებსა და ენერგიას იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ყველა ის ამოცანა, რომლებიც დაგვისახეს პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ. (ტაში).

დეპუტატ ა. ს. ბ ე ქ ა უ რ ი ს სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებმა და სესიაზე ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვაში დასახულმა ღონისძიებებმა უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია დუშეთის რაიონის მშრომელებში.

ჩვენი რაიონის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი მეცხოველეობას უჭირავს. რაიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. შარშანდელთან შედარებით წელს საშუალოდ შრომადღეზე განაწილდება ორჯერ მეტი პროდუქტები და ფული. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველა შესაძლებლობა როდია გამოყენებული მეცხოველეობის განსავითარებლად. სესიას უნდა მოვახსენო, რომ საზამთრო სადგომების უქონლობით რაიონის კოლმეურნეობებს დიდი ზარალი მოსდით.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა საძოვრების საკითხის სასწრაფოდ მოგვარება. ამ საქმეში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ სერიოზული დახმარება უნდა გაგვწიოს.

საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ ქვეყანას ესაჭიროება არა ყოველგვარი პირუტყვი, არამედ მხოლოდ მაღალნაყოფიერი, ბევრი რძის, მატყლისა და ხორცის მომცემი პირუტყვი, რაც უწინარეს ყოვლისა ჯიშთა გაუმჯობესებით შეიძლება. პირუტყვის ჯიშთა გაუმჯობესებას როგორც რესპუბლიკაში, ისე ჩვენს რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა. თითქმის ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდი ხმაურია ატეხილი როგორც ძროხას, ისე ცხვრის ჯიშების გაუმჯობესებაზე, მაგრამ ფაქტიურად ჯიშთა გაუმჯობესება არ მომხდარა. დროა ამ საკითხის მოგვარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

მეცხოველეობის დარგის უსპეციალისტებოდ ძნელი ხდება რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელება. ჩვენი რაიონის არც ერთ კოლმეურნეობას და მეცხოველეობის ფერმას სათავეში არ უდგას სპეციალისტი, ვინაიდან ისინი რაიონში ძალზე ცოტანი არიან. ოლქების გაუქმებასთან დაკავშირებით იმედი გვქონდა რაიონებს ერთი-ორი სპეციალისტი მაინც მოგვემატებოდა, მაგრამ იმედი არ გამართლდა. ისინი თითქმის ყველანი ისევ თბილისში დარჩნენ.

სესიას უნდა მოვახსენო, რომ დუშეთის რაიონს ცენტრში, სადაც რამდენიმე ათასი მცხოვრებია, ფაქტიურად საავადმყოფო არ არსებობს. იქ ქალაქის საავადმყოფოს მშენებლობა 1941 წელს დაიწყო და როგორც იყო დამთავრდა გასულ წელს. მაგრამ გარე კანალიზაციის უქონლობის გამო იგი ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა მიიღოს ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

დეპუტატებს მოეხსენებათ, რომ დუშეთი საქართველოს ერთ-ერთი ძველი ქალაქია. იმის გამო, რომ მისი კეთილმოწყობისათვის ყოველწლიურად მცირე თანხები გამოიყოფა, ქალაქი კეთილმოუწყობელია. საკმარისია აღინიშნოს, რომ დღემდე იქ არც ერთი ქუჩა მოასფალტებული არ არის. დროა დუშეთს დახმარება გაეწიოს ქუჩებისა და მოედნის კეთილმოწყობაში.

რაიონის ცენტრში არსებული საზამთრო კინოდარბაზი სერიოზულად დაზიანდა. ამ ზამთარში დუშეთის მოსახლეობას კინოსურათების ნახვის საშუალება არ ექნებათ, თუ არ იქნა მაღებული ენერგიული ზომები კინოშენობის შესაკეთებლად. ამასთან სასკოლო შენობა არა გვაქვს ისეთი დიდი ღასახლებული უბნებისათვის, როგორიც არის ფასანაური და მის მახლობლად მდებარე გუდამაყრისა და მთიულეთის სასოფლო საბჭოები. იძულებული ვართ საკლასო ოთახების სამცირის გამო აქაური ახალგაზრდობა სასწავლად აუბზეგისა და თიანეთის რაიონებში გავგზავნოთ. დუშეთის რაიონის მშრომელთა სახელით ვთხოვ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და მინისტრებს ამხ. ბარამიას, ხელიძეს, ჯაბუას, წულუკიძეს და ჭიაურელს მხედველობაში მიიღონ და დააკმაყოფილონ ჩვენი რაიონის მინიმალური და გადაუდებელი ზომომოყვანილი მოთხოვნები.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1953 წლის ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებს. იგი მთლიანად უზრუნველყოფს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის 1953 წლის გეგმების დაფინანსებას.

საქართველოს ყველა მშრომელი ორმად არის დარწმუნებული იმაში, რომ ამ თანხის თვითეული მანეთი უნარიანად და გონივრულად იქნება გამოყენებული ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების მიერ საქართველოს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი რაიონის მშრომელება, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მჭიდროდ დარაზმული მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ყველაფერს გააკეთებენ, რათა წარმატებით შეასრულონ 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა. (ტაში).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკის სიტყვა რადიოთი

ბერლინი, 17 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა 1953 წლის 17 აგვისტოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოთი გერმანელ ხალხს შემდეგი სიტყვით მიმართა:

„ძვირფასო თანამემამულენო ჩვენი გერმანული სამშობლოს აღმოსავლეთსა და დასავლეთში!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებო, გლეხებო და ყველა მოქალაქენო!

ძვირფასო გერმანელო ახალგაზრდობავ!

ახლა, როცა ჩვენი გული გამსჭვალულია იმედითა და რწმენით, მივმართავ მთელ გერმანელ ხალხს. რვა წელია ჩვენი ხალხი მოელის სამართლიან საზავო ხელშეკრულებას, იბრძვის ჩვენი სამშობლოს ეროვნული ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის. გერმანიის საზავო ხელშეკრულება და დემოკრატიული ერთიანობა ჩვენი ხალხის ულრმესი ეროვნული მისწრაფებაა. ახლა საბჭოთა მთავრობამ თავის ნოტაში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი წამოაყენა წინადადებანი, რომლებითაც შესაძლებელი ხდება დემოკრატიულ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების სწრაფად დადება. ამიტომ საბჭოთა მთავრობის ნოტას სულით და გულით შვების გრძნობით მიესალმება ყველა ნამდვილად მშვიდობისმოყვარე და ეროვნულად შეგნებული გერმანელი. ნოტა სახავს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის გზას და ამით თან მოაქვს აგრეთვე მდგომარეობის შენელება ევროპაში, რომელსაც დასავლეთ გერმანიაში აგრესიული მილიტარიზმის აღდგენის საფრთხე ემუქრება.

ადენაუერის მიერ ბონსა და პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულებები შეუთავსებელია ჩვენი ხალხის ეროვნულ ინტერესებთან. ისინი შეუძლებელს ხდიან ეროვნულ გაერთიანებას და 50 წლით ართმევენ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას ეროვნულ დამოუკიდებლობას. ისინი დასავლეთ გერმანიას აკავშირებენ აგრესიულ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტთან, რომლისთვისაც გერმანელი ახალგაზრდობა ჰიტლერელ გენერალთა სარდლობით უნდა დაიხოცოს გერმანიის მიწაწყალზე შექმნილ ბრძოლის ველებზე. დამონებულ გერმანიაში სამხედრო ხელშეკრულებები უზრუნველყოფენ შეიარაღების მაგნატებისა და იუნკერთა ბატონობას, რომლებმაც ორი მსოფლიო ომის დროს უკვე ორჯერ მიიყვანეს ჩვენი ხალხი დაღუპვის პირას. აი ამიტომ სულ სხვადასხვა პოლიტიკური რწმენისა და სულ სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანები, რომელნიც ჩვენი ხალხის უმრავლესობას შეადგენენ, უარყოფენ ამ სამხედრო ხელშეკრულებებს და ადენაუერის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ამას დაადასტურებს აგრეთვე ადენაუერის წინააღმდეგ ხმის მიცემა ბუნდესტაგის არჩევნების დროს.

საბჭოთა მთავრობის ნოტით ახალი ეტაპი იწყება ჩვენი ხალხის ბრძოლაში ერთიანობისა და მშვიდობისათვის. ნოტა წინადადებას აყენებს მოწვეულ იქნას ექვსი თვის განმავლობაში საზავო კონფერენცია და ამ კონფერენციაზე განხილულ იქნას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი. საზავო ხელშეკრულების მომზადებას აყენებს სტადიაში, აგრეთვე საზავო კონფერენციაზე უზრუნველყოფილი უნდა იქნას გერმანიის წარმომადგენლობა. მოლაპარაკება უნდა ხდებოდეს არა გერმანელი ხალხის გვერდის ავლით, არამედ ამ ხალხის წარმომადგენლებთან. ამის რწმუნება ექნება სრულიად გერმანიის დროებითს მთავრობას, რომელიც ან შეცვლის ამჟამად არსებულ მთავრობებს, ან შეიქმნება გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენელთაგან ამ მთავრობებთან ერთად. მაგრამ ორივე შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს რწმუნებანი გადადგას ყველა ნაბიჯი, რომელიც უზრუნველყოფს გერმანელი ხალხისათვის მშვიდობის შენარჩუნებასა და მთელ გერმანიაში ნამდვილად დემოკრატიული ურთიერთობის შექმნას. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მომზადება, რის შედეგადაც უცხო სახელმწიფოების სრულიად ჩაურევლად გადაწყდება დემოკრატიული გერმანიის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხი.

საბჭოთა მთავრობის წინადადებათა მიხედვით გერმანელი ხალხი უნდა განთავისუფლდეს ომის შედეგებთან დაკავშირებულ მძიმე ფინანსურ და ეკონომიურ ვალდებულებათაგან. 1954 წლის 1 იანვრიდან უნდა შეწყდეს ოთხი დიდი სახელმწიფოსათვის რეპარაციებისა და ომისშემდგომი სახელმწიფო ვალების გადახდა. საოკუპაციო ხარჯები მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს, ისე, რომ ამ ხარჯებმა შეადგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის სულ ბევრი 5 პროცენტი და რომ საოკუპაციო ხარჯების საერთო თანხა არავითარ შემთხვევაში არ აღემატებოდეს 1949 წლის საოკუპაციო ხარჯების თანხას. ამ წინადადების უდიდეს მნიშვნელობას ცხადყოფს თუნდაც ის, რომ დასავლეთ გერმანიის საოკუპაციო ხარჯები 1949 წლის 3,9 მილიარდიდან 1953 წელს გადიდდა 9,3 მილიარდ დასავლეთის მარკამდე.

საბჭოთა მთავრობას კვლავ შემოაქვს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების თავისი პროექტი, რომელიც უკვე ჰქონდა დართული 1952 წლის 10 მარტის ნოტას. დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს დღემდე არ გაუცია არავითარი პასუხი ამ წინადადებაზე და არ შემოუტანიათ არავითარი კონტრწინადადება. თავიანთი წინადადებით — დაინიშნოს საერთაშორისო კომისია არჩევნების მოწყობის პირობების შესასწავლად, მათ უფრო სურთ უსასრულოდ გააჭიანურონ საზავო ხელშეკრულების დადება ერთიან დემოკრატიულ გერმანიასთან. ეს პოლიტიკა, რასაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და მისი ნების გერმანელი ამსრულებელი კონრად ადენაუერი, სრულიად შეუთავსებელია ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან.

გერმანელ ხალხს ესაჭიროება საზავო ხელშეკრულება, მას ესაჭიროება გერმანიის დემოკრატიული ერთიანობა ისე, რომ იქ არ იყვნენ შეიარაღების მაგნატები, მილიტარისტები და ფაშისტები. მშვიდობიანი ეკონომიკის თავისუფალი განვითარება და ყველა ქვეყანასთან თანასწორუფლებიანი ვაჭრობა, რაც ამ საფუძველზე მოხდება, უზრუნველყოფენ ჩვენი ხალხის შეძლებულ და ბედნიერ ცხოვრებას.

გერმანელი ხალხის ამ სასიცოცხლო მოთხოვნებს შეესაბამება წინადადებანი, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის ნოტა. მაგრამ, ძვირფასო თანამემამულენო, საკმარისი არ არის, რომ სულითა და გულით მივესალმოთ ამ ნოტას. ჩვენ თვითონ უნდა გადავიდგათ ყველა ნაბიჯი, რათა ხელი შევუწყოთ საზავო კონფერენციის მოწვევას, საზავო ხელშეკრულების დადებას და გერმანიის დემოკრატიული ერთიანობის განხორციელებას. გერმანელთა შორის შეთანხმება დღეს უმნიშვნელოვანესი ეროვნული მოთხოვნაა.

დაე გერმანიის ორივე ნაწილის პარლამენტებმა შეასრულონ ახლა თავიანთი ეროვნული მოვალეობა, დაე მათ აზრის ყველა უთანხმოება და მსოფლმხედველობის სხვადასხვაობა დაუმორჩილონ გერმანელი ხალხის საერთო ინტერესებს. ასეთ ძლიერ ეროვნულ შეგნებას მოელის ჩვენი ხალხი ჩვენი სამშობლოს ორივე ნაწილის საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილე ყველა მამაკაცისა და ქალისაგან.

ძვირფასო თანამემამულენო! საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი სახავს საზავო კონფერენციის, საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის დემოკრატიული ერთიანობის გზას. ეს არის დაძაბულობის შენელებისა და მთელ ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის გზა. ეს არის გზა, რომლითაც გერმანელ ხალხს, როგორც თანასწორუფლებან და დიდ ერს, შეუძლია შევიდეს მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახში. მაშ ჩვენ, გერმანელები, რომელთაც გვამოქმედებს ჩვენი სამშობლოს ჭეშმარიტი და სწორად გაგებული ინტერესები, დავადგეთ ამ გზას! დავიწყოთ უახლოესით და ყველაზე მარტივით: სრულიად გერმანიის შეთანხმებით“.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე

დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი გერმანიის საკითხის შესახებ

პოლონეთი

ვარშავა, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა სრული ტექსტი საბჭოთა მთავრობის ნოტისა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე, აგრეთვე ცნობები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომის შესახებ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით — მიიწვიოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მოსკოვში.

გაზეთები ფართო კომენტარს უკეთებენ საბჭოთა მთავრობის ნოტას და ახასიათებენ მას როგორც უდიდეს წვლილს გერმანიის პრობლემის გადაწყვეტისა და ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

მოწინავე სტატიაში, სათაურით „გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ევროპაში მტკიცე მშვიდობისათვის“, გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ წერს:

საბჭოთა მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივა ყველა იმ ხალხის ინტერესებს გამოხატავს, რომლებიც ცდილობენ უზრუნველყონ მშვიდობა ევროპაში, და უწინარეს ყოვლისა გერმანიის მეზობელი ხალხებისა და თვით გერმანელი ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა წინადადებების უაღრესად დემოკრატიულ ხასიათთან ერთად, აღნიშნავს გაზეთი, ხაზი უნდა გაესვას ამ წინადადებათა კონკრეტულობას, მათ რეალურობას. ეს წინადადებანი იმ მტკიცე მისწრაფებათა გამოხატულებაა, რომელთა მიზანია შეიქმნას საფუძვლები გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის და მოწვეულ იქნას საზავო კონფერენცია დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და სხვა იმ სახელმწიფოებია მონაწილეობით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში, საბჭოთა ნოტა წინადადებას იძლევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის პარლამენტებმა დემოკრატიული ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით შექმნან სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნა წინადადგმული რეალური ნაბიჯი იქნებოდა, თუნდაც მას პირველ ხანებში განეხორციელებინა მხოლოდ განსაზღვრული ფუნქციები და შეენარჩუნებინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის მთავრობები.

ყველა ხალხი, ყველა ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, მიესალმება საბჭოთა ნოტას როგორც თვალსაჩინო ნაბიჯს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცების გზაზე.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთმა „საბად ნეპმა“ გამოაქვეყნა სრული ტექსტი საბჭოთა მთავრობის ნოტისა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე. სხვა გაზეთები ბეჭდავენ ნოტის ტექსტის შინაარსს.

მოწინავე სტატიაში „ევროპის მშვიდობისა და უშიშროების დიადი პროგრამა“ გაზეთი „საბად ნეპი“ წერს: საბჭოთა კავშირის წინადადებებს გერმანიის საკითხზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. შეერთებული შტატები დაჟინებით იცავენ თავიანთ აგრესიულ გეგმებს, როგორც ეს ცხადყო დასავლეთის სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა ministrების ვაშინგტონის ამასწინანდელმა თათბირმა და სამი სახელმწიფოს ნოტამ საბჭოთა კავშირისადმი. ამ ვითარებაში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი გერმანიის აგრესიის აღორძინების პროგრამას უპირისპირებს მშვიდობიანი და დემოკრატიული გერმანიის შექმნის კონკრეტულ პროგრამას. გერმანიასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაჭრისათვის, აღნიშნავს გაზეთი, საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტა სახავს არა მარტო სასურველ გზას, არამედ სავსებით რეალურ გზასაც.

ბუნებრივია, წერს შემდეგ „საბად ნეპი“, რომ ისეთი ვითარებიდან, რომელიც ამჟამად გერმანიაში შეიქმნა, გამოსავლის პოვნა ადვილი არ არის. არ შეიძლება არც იმას მოველოდეთ, რომ ერთბაშად გადაწყდეს ყველა არსებული პრობლემა. მაგრამ საბჭოთა კავშირი იმით ხელმძღვანელობს, რომ ამ საქმეში შეუწყნარებელია შემდგომი გაჭიანურება. საბჭოთა ნოტის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი სახავს ერთიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი გერმანიის შექმნის თანდათანობითს გზას. საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევს შექმნილ მდგომარეობას, არსებულ პრობლემებს და სახავს მათი გადაჭრის ხერხს. მას შემოაქვს კონკრეტული და პრაქტიკული წინადადებანი, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ახლა და რომლებიც სავსებით შეესაბამება გერმანელი ხალხის ინტერესებს, ევროპის მშვიდობის ინტერესებს.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 17 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის გაზეთები დიდ უყურადღებას აქცევენ ცნობებს დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ.

კომენტარს უკეთებს რა ვაშინგტონის ოფიციალურ პირთა გამოხმაურებას საბჭოთა ნოტაზე, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აცხადებს: „მოსკოვმა გააკვირვა და ჩაიფიქრა ვაშინგტონის დიპლომატიური წრეები ნოტით, რომელშიც საბჭოთა კავშირმა მოითხოვა, რომ არაუგვიანეს ექვსი თვისა მოიწვიოს საზავო კონფერენცია გერმანიის საკითხზე“.

ვაშინგტონი, 17 აგვისტო. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ, თავს არიდებს რა თავისი თვალსაზრისის მკაფიო ჩამოყალიბებას საბჭოთა ნოტის არსის შესახებ, სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს, რომ საბჭოთა ნოტას, როგორც ჩანს, შემდეგ წლამდე გადაიქცა სამი სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირის მოწვევა, თუმცა ეს საბჭოთა ნოტაში ნათქვამი არ არის.

ნიუ-იორკი, 17 აგვისტო. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი ჰაიტუერი, კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა მთავრობის ნოტას დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი გერმანიის საკითხზე, აცხადებს, რომ „ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენელთა აზრით“, საბჭოთა წინადადებანი თითქოს „დასავლეთ გერმანიის მომავალ არჩევნებზე გავლენის მოხდენის ცდას“ წარმოადგენენ.

„ოფიციალური პირები, — აღნიშნავს კორესპონდენტი, — ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირს სურს ზეგავლენა მოახდინოს მეტოქე ძალებზე დასავლეთ გერმანიაში, ისე, რომ ამ ძალებმა შეძლონ გადაყენონ ადენაუერი და შექმნან დასავლეთ გერმანიის ახალი მთავრობა, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს ევროპის თავდაცვითი გაერთიანების მთელ იდეას, ხოლო ამ გაერთიანების ფარგლებში ხელახლა უნდა შეიარაღდეს დასავლეთი გერმანია“.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის სიტყვით, ამერიკის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „უაღრესი გულმოდგინებით“ უნდა შეისწავლონ საბჭოთა წინადადებანი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ახლანდელ მთავრობათა მონაწილეობით სრულიად გერმანიის „დროებითი“ მთავრობის შექმნის შესახებ.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ ბერლინელი კორესპონდენტი წერს: „საყოველთაო აზრით, გაერთიანებისადმი მისწრაფება იმდენად ძლიერია გერმანელთა შორის, რომ პოლიტიკურად საშიში იქნებოდა საბჭოთა წინადადებების პირდაპირი უარყოფა“.

უცხოეთის გამოხმაურება
საბჭოთა მთავრობის ნოტაზე
დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი გერმანიის საკითხის შესახებ

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე.

რუმინეთი

ბუქარესტი, 18 აგვისტო. (საკდესი). ბუქარესტის ყველა დღევანდელმა გაზეთმა გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე.

ბულგარეთი

სოფია, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბულგარეთის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე.

ალბანეთი

ტირანა, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს ალბანეთის გაზეთებმა „ზერი ი პოპულიტმა“ და „ბაშკიმმ“ გამოაქვეყნეს სრული ტექსტი საბჭოთა მთავრობის ნოტისა საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე.

გუშინ საბჭოთა მთავრობის ნოტის სრული ტექსტი გადაცემულ იქნა ტირანას რადიოთი.

ინგლისი

ლონდონი, 17 აგვისტო. (საკდესი). დილის გაზეთებმა გვიან გამოშვებებში თვალსაჩინო ადგილი დაუთმეს ცნობებს დასავლეთის სამი ქვეყნის მთავრობებისადმი გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ. ბევრმა გაზეთმა დაბეჭდა საგენტოს-მიერ გადაცემული ნოტის შინაარსი. გაზეთების კომენტარებს ძლიერ მერყეები ხასიათი აქვს. ბევრი დიპლომატიური და პოლიტიკური მიმომხილველი თავის კომენტარებში აცხადებს, რომ ნოტა საბჭოთა მოულოდნელი დიპლომატიური ნაბიჯია და თითქოს მას მიზნად აქვს დასახული გავლენა მოახდინოს მომავალ არჩევნებზე დასავლეთ გერმანიაში.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ბერლინელი კორესპონდენტი წერს: „ნოტა შეიცავს შორს გამიზნულ დათმობებს და ქმნის საძნელო მდგომარეობას, რაც უკვე ფართოდ არის აღიარებული დასავლეთში“.

„დეილი ჰერალდი“ აცხადებს, რომ „ეს ნოტა ცოტა უფრო შორს მიდის, ვიდრე წინანდელი საბჭოთა წინადადებანი“.

სხვა გაზეთები იცავენ „ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველის ბერი გამოთქმულ აზრს, რომ ნოტა თითქოს მიზნად ისახავს მხოლოდ ადენაუერის შანსების გაუარესებას მომავალ არჩევნებში.

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი“ მიესალმება საბჭოთა ნოტას გერმანიის საკითხზე.

სარედაქციო სტატიაში გაზეთი წერს: „ეს გერმანიის პრობლემის გაბედული, მარტივი და პატიოსანი გადაწყვეტაა, რასაც კმაყოფილებით შეხვდება ყველა, ვისაც მშვიდობა სურს. ეს საბჭოთა ნოტა წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაბიჯს ამჟამად უაღრესად სერიოზული საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისაკენ. ნოტა შეიცავს შორს გამიზნულ, მაგრამ პრაქტიკულად განსახორციელებელ წინადადებებს. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ომის გამჩაღებლები ამ წინადადებებს ისეთი დიდი ყურადღებით მოეპყრობიან, როგორსაც ისინი იმსახურებენ“.

„დეილი ჰერალდი“ საბჭოთა ნოტის შესახებ წერს, რომ „მისი ინებულებანი თითქმის უდავოდ მიუღებელია დასავლეთისათვის“. გაზეთი აცხადებს, რომ დიპლომატიური ნოტების გაცვლას მოსდევს ჩახი და მოითხოვს დაუბრუნდნენ ჩერჩილის მიერ წამოყენებულ წინადადებას იმის შესახებ, რომ მოეწყოს მოლაპარაკება უმაღლეს სფეროებში მტკიცე დღის წესრიგის დაუსახავად.

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა 17 აგვისტოს განაცხადა, რომ ერთი შეხედვით საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი ნოტა გერმანიის შესახებ ადასტურებს დასავლეთის აზრს, რომ დიდი ოთხეულის საგარეო საქმეთა მინისტრები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და განიხილონ გერმანიის პრობლემა.

მან აღნიშნა, რომ რუსეთის ნოტას ყოველმხრივ შეისწავლის ინგლისი, ამასთან მოეწყობა კონსულტაციები ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის მთავრობებთან.

საფრანგეთი

პარიზი, 17 აგვისტო. (საკდესი). ეხება რა საბჭოთა წინადადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნას სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა, ამასთან დაკავშირებულ იქნან დასავლეთ გერმანიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები, ფრანს პრესის სააგენტო აცხადებს: „პარიზში მიიჩნიათ, რომ ასეთი სისტემა უხერხულობას გამოიწვევდა“. საგენტო აღიარებს, რომ „დასავლეთ გერმანიაში ბევრი გერმანელია, რომელთაც მეტი არაფერი სურთ, რომ სხდომა გამართონ გერმანიის მეორე ნაწილის მთავრობის წევრებთან ერთად, რადგან ფიქრობენ, რომ ამით მიღწეულ იქნება გერმანიის გაერთიანება“.

„პარიზში, — აღნიშნულია სააგენტოს ცნობაში, — საკმაოდ ეჭიროზულად მიიჩნიათ ის საშუალება, რომლითაც საბჭოთა მთავრობამ აღნიშნა დემოკრატიული ორგანიზაციებისადმი მიმართვის საჭიროება“.

პარიზი, 18 აგვისტო. (საკდესი). გუშინ, სტამბის მუშათა გაფიცვის გამო, გაზეთები არ გამოსულა.

დღეს გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა საბჭოთა ნოტის სრული ტექსტი. ეხება რა ფრანს პრესის სააგენტოს მიერ გადაცემულ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებას იმის შესახებ, რომ დასავლეთ გერმანიაში ბევრი გერმანელია, რომლებიც სხვას არაფერს მოითხოვენ გარდა იმისა, რომ მოუსხდნენ ერთ მაგიდას აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობის წევრებთან ერთად, გაზეთი „ლუმანიტე“ წერს: „ოფიციოზური კომენტატორი ამტკიცებს, რომ, მისი აზრით, ეს არის საბჭოთა წინადადებების ერთ-ერთი „უხერხულობა“. მაგრამ ძნელია ითქვას, თუ რა უხერხულობას უნდა წარმოადგენდეს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის ნოტა შეესაბამება გერმანელი ხალხის კანონიერ მისწრაფებებს, მით უმეტეს, რომ ნოტაში აღნიშნული გადაწყვეტილებანი მთლიანად შეესაბამებიან აგრეთვე საფრანგეთის ინტერესებსა და მშვიდობის შენარჩუნების მოთხოვნილებებს“.

გაზეთი „ლიბერასიონი“ საბჭოთა ძირითად დებულებებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ უწოდებს „ძლიერ გონივრულს“.

ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ პირველი გამოხმაურება ვაშინგტონში საბჭოთა ნოტაზე მტრულია და რომ შეერთებული შტატები არ თანხმდებიან ნეიტრალური გერმანიის შექმნაზე, „ლიბერასიონი“ კითხულობს:

„მაშინ რაღა საფუძველი შესაძლებელი შეთანხმებისათვის? ბოლოსდაბოლოს შეგვატყობინებენ თუ არა ისინი გაერთიანებულ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების თავიანთ კონცეფციას?“

„ლიბერასიონი“ გამოთქვამს აგრეთვე უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ადენაუერი მტრულად გამოეხმაურა საბჭოთა ნოტას. ამხილებს რა ადენაუერის წინადადებას ოთხი სახელმწიფოს თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, გაზეთი წერს: ადენაუერს ამედი აქვს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ამ თათბირზე პირდაპირ განაცხადებენ იმის უარს, რომ დეთანხმონ საბჭოთა წინადადებებს და ეს შემაწუხებელი საკითხი დიამარხება.

გაზეთი „ფრან-ტირერი“ „მოულოდნელს“ უწოდებს საბჭოთა ნოტას. გაზეთი „ფიგარო“ ამტკიცებს, რომ საბჭოთა ნოტის ძირითადი დებულებანი ცნობილი იყო წინათაც. რაც შეეხება ახალ დებულებებს, წერს გაზეთი, სახელდობრ, დროებითი მთავრობის შექმნასა და გერმანიის ნეიტრალიზაციას, მათ დასავლეთი სახელმწიფოები არ ეთანხმებიან.

იტალია

რომი, 17 აგვისტო. (საკდესი). იტალიის ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილს გამოაქვეყნა ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ.

გაზეთი „უნიტა“ წერს სათაურში: „სსრ კავშირი იმის მომხრეა, რომ დაუყოვნებლივ ჩამოყალიბდეს გერმანიის გაერთიანებული მთავრობა“. გაზეთ „მომენტოს“ სათაურში ნათქვამია: „მოსკოვმა გერმანიის გაერთიანების წინადადებით მიმართა დასავლეთის სახელმწიფოებს“. „სსრ კავშირის წინადადებაა მოწვეულ იქნას საზავო კონფერენცია გერმანიისათვის“, — წერს სათაურში „მესაჯერო“.

ახალი საბჭოთა ნოტა, წერს გაზეთი „უნიტა“, „მოწოდებულია დასახოს გერმანიის პრობლემის შეთანხმებული გადაჭრის ახალი გზა“.

ბელგია

ბრიუსელი, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბელგიის ყველა გაზეთმა დიდი სათაურით გამოაქვეყნა გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის ნოტის დაწვრილებითი შინაარსი.

გაზეთი „დრაპო რუჟი“ სათაურში წერს: „საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი თავისი ახალი ნოტით საბჭოთა კავშირი იძლევა გერმანიის პრობლემის მალე გადაჭრის შესაძლებლობას“. სსრ კავშირი მოითხოვს, აღნიშნავს, გაზეთი, რომ „ჰიტლერელი აგრესორების წინააღმდეგ ომის მონაწილე ყველა ქვეყანამ, მათ შორის ბელგიამაც მონაწილეობა მიიღოს ხელშეკრულების დადებაში“.

ბურჟუაზიული პრესა ტენდენციურად იძლევა საბჭოთა ნოტის შინაარსს, იყენებს რა ამერიკისა და ინგლისის სააგენტოების ცნობებს.

ჰოლანდია

ჰააგა, 18 აგვისტო. (საკდესი). „დე ტელეგრააფი“ წერს: რუსეთის ნოტაში ოსტატურად იყენებენ გერმანელთა ეროვნულ გრძნობებს. ეს ნოტა ყველაზე ძლიერი დიპლომატიური სვლაა, რომელიც კი დღემდე გაუკეთებიათ ატლანტიკის ფრონტის წინააღმდეგ. იგი ცხადყოფს „მობრუნებას“ რუსეთის პოლიტიკაში გერმანიის შეიარაღების საკითხის შესახებ. საეჭვოა, რომ ნოტა სხვა რამე იყოს, გარდა მეტად საშიში ხასიათის ტაქტიკური მანევრისა, რომელიც გაკეთებულია გენიალური გაბედულებით. სასიამოვნო არ არის, რომ ეს მანევრი რამდენადმე გამოიწვია დასავლეთის დიპლომატიის დიდმა შეცდომებმა. ახლა უნდა გამოირკვეს, წარმოადგენს თუ არა დასავლეთ ევროპის ორგანიზაცია და მისი მხარდამჭერი ატლანტიკის ორგანიზაცია კანცელარიულ აპარატზე მეტ რამეს, და ეყრდნობა თუ არა იგი — კერძოდ გერმანიაში — ამომრჩეველთა უმრავლესობას.

ირანის ამბები

თეირანი, 18 აგვისტო (საკდესი). გუშინ თეირანში ხალხმა დაანგრია რეზა-შაჰის ძეგლები და შაჰ მოჰამედ რეზა ფეხლევის ფიგურები, რომლებიც დადგმული იყო ბახარისანის, ტულხანის, რახიახანის მოედნებზე, შაჰ-რეზას ქუჩაზე და საქალაქო პარკში. ადგილზე დარჩა მხოლოდ კვარცხლბეკები. ერთ-ერთ კვარცხლბეკზე — შაჰ-რეზას ქუჩაზე — საღებავით წარწერილია: „იანკებო, შინ წაეთრიეთ“, „გაუმარჯოს ხალხს!“.

გაზეთი „ქეიხანი“ იუწყება, რომ 17 აგვისტოს დღის 12 საათზე ქალაქ ფეხლევსა და რეშტში სამხედრო წესები გამოცხადდა.

გაზეთი წერს, რომ 16 და 17 აგვისტოს არ მუშაობდა ირანში „ტრუმენის პროგრამის მე-4 პუნქტის“ განმახორციელებელი ამერიკული ადმინისტრაციის არც ერთი დაწესებულება და რომ ყველა მათ ჯარისკაცები და პოლიციელები იცავენ. იმავე გაზეთის ცნობით, შაჰის ყველა სასახლე მთავრობის განკარგულებით პოლიციას გადაეცა სამეთვალყურეოდ.

დათხრვნილი მეჯლისის დეპუტატი ჰაერიზადე, იუწყება გაზეთი, პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

თეირანი, 19 აგვისტო. (საკდესი). დღეს თეირანის რადიოსადგური ხელი იგდეს გაქცეული შაჰის სამხედრო მომხრეებმა. დღისით რადიოსადგურმა გადასცა გენერალ ზაჰედის მიმართვა. ზაჰედმ გამოაცხადა, რომ მან ხელში იიღო ძალაუფლება ირანში.

საღამოს თეირანის რადიო ამტკიცებდა, რომ მთავრობის წევრები, რომელსაც სათავეში პრემიერ-მინისტრი მოსადიკი უდგას, დაპატიმრებული არიან, თეირანში 20 საათიდან დილის 5 საათამდე აკრძალულია ქუჩაში მოძრაობა.

თეირანი, 20 აგვისტო. (საკდესი). დღეს გამოვიდა გაზეთ „მარდე დონიას“ საგანგებო ნომერი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ 19 აგვისტოს გენერალმა ზაჰედმ დაანატიმრა შაეგანი (მეჯლისის დეპუტატი. — **რედ.**), სამხედრო გუბერნატორი აშრაფი, გენერალური შტაბის უფროსი ბრიგადის გენერალი რიიახი, მოჰამედ მოსადიკის ვაჟი — გოლამ ჰოსეინ მოსადიკი, სამხედრო პოლიციის უფროსი მოდაბერი, ინჟინერი გირაქ-ზადე (მეჯლისის დეპუტატი. — **რედ.**) და სხვა პირები.

გაზეთი აცხადებს, რომ გენერალმა ზაჰედმ დივიზიის გენერალი ბათმანკლიჩი დანიშნა გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე, ბრიგადის გენერალი დადიეტანი — თეირანის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობაზე, ბრიგადის გენერალი დაფთარი — პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მოსადიკის სახლი თავდასხმის შედეგად მოკლეს და დაჭრეს 300-ზე მეტი კაცი. მოსადიკის სახლი დაწვრეულია. გაზეთების „ბახტარე ემრუზის“, „შურეშის“, „ეთელაათის“, „ბესუე აიანდეს“ რედაქციები განადგურებულია და ამ რედაქციების შენობები დამწვარია. პარტიის „მირუეე სევომის“ და პენირანელთა შენობები განადგურებულია.

20 აგვისტოს დილის 7 საათზე (თეირანის დროით) რადიოთი გადაცემულ იქნა გენერალ ზაჰედის, აგრეთვე ირანის არმიის მის მიერ დანიშნული გენერალური შტაბის უფროსის და სამხედრო გუბერნატორის განცხადებანი. ზაჰედი მოსადიკისაგან მოითხოვს 24 საათის განმავლობაში გამოცხადდეს სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში ანდა პოლიციის მთავარ სამმართველოში.

გენერალ ბათმანკლიჩის ბრძანებით, რომელიც რადიოთი გადაიცა თეირანში აკრძალულია დემონსტრაციები და კრებები, ჯარისკაცებს მოუწოდებენ „დარჩნენ თავიანთ ადგილებზე“, თეირანის მოსახლეობის ქალაქის ფარგლებიდან ავტომანქანებით გასვლა აკრძალულია. დედაქალაქის ქუჩებში აკრძალულია სამზე მეტი კაცის ერთ ჯგუფად შეკრება.

ირანის დედაქალაქის ქუჩებში ჯარისკაცები პატრულობენ. ბევრი მაღაზია დაკეტილია. გაზეთები არ გამოსულა.

პარიზი, 20 აგვისტო. (საკდესი). მდგომარეობა ირანში ცნობების მიხედვით, კვლავ გაურკვეველია. არავითარი ნამდვილი ცნობა პროვინციიდან არ მოსულა. არავინ იცის აგრეთვე, სად იმყოფება ამჟამად პრემიერ-მინისტრი მოსადიკი.

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაგნტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ირანის ელჩმა სალეხმ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მას არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიუღია თეირანის ამბების შესახებ, და დასძინა, რომ იგი გადადგება, თუ მიიღო იმის ოფიციალური ცნობა, რომ ზაჰედიმ ჩამოაყალიბა მთავრობა მოსადიკის მთავრობის ნაცვლად.

სალეხმა განაცხადა, რომ „ვერავითარი ანტინაციონალისტური მთავრობა ვერ გაძლებს ირანში“, და აზრი გამოთქვა, რომ ყველა, ვინც მოსადიკის წინააღმდეგ იმოქმედებს, ირანელთა თვალში „გამოიწვევს ეჭვს როგორც ისეთი კაცი, რომელიც უცხოელთა ინტერესებს ემსახურება“.

ამერიკელი გენერალი შვარცკოპფი, რომლის როლსაც ირანში სამხედრო შეთქმულების მომზადებაში ირანული გაზეთები ამ დღეებში აღნიშნავდნენ, ცდილობს თავი გაიმართლოს. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ტრენტონელი (ნიუჯერსის შტატი) კორესპონდენტის ცნობით, შვარცკოპფი, რომელიც 11 აგვისტოს დაბრუნდა ირანში მგზავრობიდან, უარყოფდა რაიმე კავშირს ზაჰედის საქმიანობასთან და ამტკიცებდა, რომ მის თათბირს შაჰთან „წმინდა პირადული ხასიათი“ ჰქონდა.

ავსტრიაში საბჭოთა საინფორმაციო სამსახურის ცნობა

ვენა, 19 აგვისტო. (საკდესი). ავსტრიაში საბჭოთა საინფორმაციო სამსახურმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ავსტრიაში ი. ი. ილიჩევმა 1953 წლის 18 აგვისტოს კანცლერ ბ-ნ რააბს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„ავსტრიის მთავრობის იმ თხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც გამოთქმულია 1953 წლის 4 აგვისტოს თქვენს წერილში, აგრეთვე ავსტრიის მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით საბჭოთა ხელისუფლებმა მიიღეს გადაწყვეტილება ნება დართონ თავისუფლად იარონ მთელი ავსტრიის ფარგლებში სსრ კავშირის კუთვნილმა სამგზავრო ვაგონებმა, რომლებიც ექსპლოატაციაშია ავსტრიის სახელმწიფო რკინიგზებზე“.

მდგომარეობა მაროკოში

პარიზი, 19 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის პრესის ცნობებით, პოლიტიკური ვითარება მაროკოში მწვავდება. ერთ-ერთი მაროკოელი ფაშა-ელ-გლაუი, მოქმედებს რა კოლონიურ ხელისუფალთა სასარგებლოდ, კატეგორიულად მოითხოვს სულთან სიდი მოჰამედ ბენ იუსეფის დაუყოვნებლივ გადაყენებას. საზოგადოებრიობის მოსატყუებლად ბურჟუაზიული პრესა ავრცელებს მტკიცებას, თითქოს ელ-გლაუის მხარს უჭერენ დიდი ძალები და რომ, თუ საფრანგეთი „არ დაამყაყოფილებს“ მის მოთხოვნებს სულთანის გადაყენების შესახებ, მაროკოში თითქოს დაიწყება სამოქალაქო ომი.

გაზეთები იუწყებიან, რომ ამჟამად მაროკო ფაქტიურად გაყოფილია ორ მტრულ ბანაკად — სულთანის მომხრეებად და ელ-გლაუის მომხრეებად. მთელ რიგ ქალაქებში გრძელდება შეტაკებები, რომელთა შედეგად არის მსხვერპლი.

საფრანგეთის კოლონიურმა ხელისუფლებმა საალაო წესები შემოიღეს მაროკოში და სასტიკ ცენზურას ახორციელებენ მაროკოდან გგზავნილ ყველა ცნობაზე.

„მაროკოს კრიზისი, — წერს გაზეთი „ფიგარო“, — გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ორი წლის დაბრკოლებებისა და ხრიკების შემდეგ დდგა გადაწყვეტილების მიღების მომენტი. მოვლენები მოითხოვენ ამას, ისინი იმდენად სერიოზულია, რომ მაროკოში საფრანგეთის პოლიტიკის პასუხისმგებელმა მოღვაწეებმა აღარ შეიძლება გადადონ მათი გადაწყვეტა“.

უკანასკნელ დღეებში საფრანგეთის მთავრობა გაძლიერებით იხილავს მაროკოს პრობლემას. რაბატიდან პარიზს გაიწვიეს გენერალური რეზიდენტი გენერალი გიომი და საგარეო საქმეთა მინისტრის ჟორჟ ბიდოს კაბინეტის უფროსი ვიშონი. გუშინ მთავრობის მეთაური ლანიელი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ბიდო ეწევიენენ რესპუბლიკის პრეზიდენტ ვენსან ორიოლს და საუბარი ჰქონდათ ამ საკითხზე.

პრესა არ აქვეყნებს ოფიციალურ ცნობებს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესახებ, მაგრამ გაზეთი „ფრან-ტირერი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლანიელის მთავრობა მზად არის გადაყაყნოს სულთანი.

მკაცრი ცენზურის მიუხედავად, მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ელ-გლაუი განაგრძობს მანევრებს და თავს უყრის ბერბერთა შეიარაღებულ ცხენოსან ჯარს, ეწევა სულთანის საწინააღმდეგო კამპანიას პრესაში და სულთანის საწინააღმდეგო ფურცლებს ავრცელებს მოსახლეობაში.

„ვინ მოაწყო და წააქეზაო ეს შეთქმულება? — კითხულობს გაზეთი „ფრან-ტირერი“. ამის გამგებად საკმარისია კოლონიზატორთა გაზეთების წაკითხვა. როგორ შეეძლო ელ-გლაუის თავისუფლად მოგზაურობა მაროკოში, სადაც საალაო წესებია გამოცხადებული? ვინ მისცა შეკრების უფლება ყადებს, რომლებიც სულთანისადმი მტრულად არიან განწყობილნი? საქმე ეხება ნამდვილ შეთქმულებას“.

გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ მაროკოს კომუნისტური პარტია გმობს ელ-გლაუის მოქმედებას, რომელიც ფრანგი იმპერიალისტების იარაღია.

ელ-გლაუის წინააღმდეგ პროტესტით გამოვიდა არაბთა ქვეყნების ლიგა. არაბთა და აზიის ქვეყნების ჯგუფი დაინებით მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევას მაროკოს საქმეებში.

უცხოეთის ზნე-ჩვეულება
აიდაახოელი ფინიები

ამერიკის პატარა ქალაქების სახელწოდებებს, რომ გადაბედოთ, ნახავთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში აქვთ თავიანთი ლონდონი და პარიზი, მადრიდი და რომი, ყენევა და კაირო. არის ოკეანესგაღმა მოსკოვიც. ამ სახელწოდების ქალაქი აიდაოოს შტატში არსებობს და იქ... ათი ათას ხუთას ოთხმოცდაცამეტი მცხოვრებია.

საეჭვოა ვინმეს გახსენებოდა მოსკოვის ნამეცეა ამერიკელი „სეხნიას“ არსებობა, ამ უკანასკნელის „მამებს“ უცნაურად რომ არ მოეგონებინათ თავი. აიდაოოს შტატის პატარა ქალაქის მუნიციპალური საბჭოს წევრებმა, რომლებსაც არც საღი გონება აწუხებთ და არც იუმორის გრძნობა, გადაწყვიტეს... თუმცაღა რაც მათ გადაწყვიტეს, ამაზე საუკეთესოდ მეტყველებს მათ მიერ მიღებული რეზოლუცია. აი ეს რეზოლუცია: „რამდენადაც ქალაქის მცხოვრებთ მიაჩნიათ, რომ მათ პირველხარისხოვანი და უმაღლესი უფლება აქვთ ატარებდნენ ამ სახელწოდებას(!!), ისინი წინადადებას აძლევენ ქალაქ მოსკოვის (სსრ კავშირი) ხელისუფალთ გამოუცვალონ სახელი თავიანთ ქალაქს, დაარქვან მას რაიმე სხვა ისეთი სახელი, რომელიც ასოციაციის მიხედვით ხიძნელეებს არ შეუქმნიდა ქალაქ მოსკოვის (ამერიკის შეერთებული შტატები) მცხოვრებთა“.

თუ რა „ხიძნელეები“ შეიძლება წარმოშვას ქალაქ მოსკოვის (ამერიკის შეერთებული შტატები) მცხოვრებთათვის, ამაზე რეზოლუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, მაგრამ ძნელი როდია გამოვიცნოთ ეს ხიძნელენი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა მთელ ამერიკაში დაძრწიან და „კრამოლაზე“ ნადირობენ ცოფიან სენატორ მაკარტის პოლიციელი მაძებრები...

ყოველივე ეს, როგორც იტყვიან, ხასაცილო იქნებოდა, ასე ხულელური რომ არ იყოს. პროგრესულმა ამერიკულმა გაზეთმა „ნეიშნლ გარდიენმა“ ოკეანესგაღმა არსებული მოსკოვის მუნიციპალურ ხელისუფალთა ეს ანეგდოტური გადაწყვეტილება გამოაქვეყნა რუბრიკით „რამდენად შეიძლება გაუეყიჩება“.

რა შეიძლება დავუმატოთ ამ მარჯვე განსაზღვრას? მხოლოდ კრილოვის ფინიას ამბავი...

ვიქტ. ორლოვი.

„იზვესტია“.

ამერიკელი ჯარისკაცის თავგადასავალი ქუთაისში

ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივი, რომელმაც წარმოდგენები გამართა ქუთაისის ფილარმონიის საზაფხულო თეატრის დარბაზში.

თეატრმა მაყურებელს უჩვენა ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და დ. კეკერაძის „ბრწყინვალე მომავალი“. სპექტაკლებს ბევრი მაყურებელი დაესწრო.

მუსიკალური კომედიის თეატრი ქუთაისში დაჰყოფს აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე და პარალელურად წარმოდგენებს გამართავს ქალაქის მსხვილ საწარმოებში.

მეშახტის დღესთან დაკავშირებით თეატრი სპექტაკლებს უჩვენებს აგრეთვე ტყიბულის მაღაროელებსა და ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებს.

ივ. ბუხაიძე.

აგვიმხაგვრელი ბრიგადები სოფლად

თბილისის კულტურის ცენტრალურმა სახლმა მოსავლის აღებასთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გაგზავნა 5 აგიტმხატვრული ბრიგადა.

ხალხური საკრავების აგიტმხატვრულმა ბრიგადამ მომსახურება გაუწია თეთრი წყაროს, მცხეთის, კასპის, ქარელის, ხაშურის და ბორჯომის რაიონის კოლმეურნეებს. კონცერტები გაიმართა აგრეთვე ტყიბულის მეშახტეთა და ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის.

მეორე და მესამე აგიტმხატვრული ბრიგადები მომსახურებას უწევენ დასავლეთ საქართველოს რაიონებს. მარნეულს, ბოლნისისა და დმანისის რაიონების კოლმეურნეებს მხატვრულ მომსახურებას უწევს აზერბაიჯანული თეატრალური კოლექტივი, თბილისის გარეუბნის რაიონის მშრომელებს — კულტურის სახლთან არსებული რუსული მუსიკალური მხატვრული კოლექტივი.

აგიტმხატვრული ბრიგადები მეთოდურ დახმარებას უწევენ რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. ბრიგადის ხელმძღვანელები მოსახლეობაში აწყობენ საუბრებს პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

სსრ კავშირის პირველობა საბაიდარო ნიჩბოსნობაში

მიმდინარე სასპორტო სეზონში საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება საბაიდარო ნიჩბოსნობაში გაიმართა მოსკოვის „დინამოს“ წყალჯოგარდობის საგზურზე. აქ პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი გუნდები. საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მცხეთის ნიჩბოსანთა კოლექტივმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო 12 სპორტსმენით.

საინტერესო ბრძოლით მიმდინარეობდა შეჯიბრება ნიჩბოსნობაში ქალთათვის 500 მეტრზე, ოთხმოსამელიანი ბაიდარებით ასპარეზობაში მცხეთის გუნდის წარმომადგენლები ა. ოხონაშვილი და ი. მრეველიშვილი ფინალში გავიდნენ და მეორე ადგილი დაიკავეს. ერთმოსამელიანი ბაიდარებით ნიჩბოსნობაში 500 მეტრზე ლ. ნასყიდაშვილმა (მცხეთა) მეოთხე ადგილი დაიკავა.

სპორტსმენთა 13 კოლექტივიდან საბჭოთა კავშირის 1953 წლის ჩემპიონის წოდება საბაიდარო ნიჩბოსნობაში მოიპოვა მოსკოვის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის ნიჩბოსანთა კოლექტივი, მესამეზე — კიევის გუნდი, მეოთხეზე მცხეთის სპორტსმენთა კოლექტივი.

საქართველოს ჰაბუკ ფეხბურთელთა წარმატება

მინსკში დამთავრდა ჰაბუკ ფეხბურთელთა კოლექტივების ფინალური ასპარეზობა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ზონებში გამარჯვებულნი მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ, უკრაინის, საქართველოსა და სომხეთის გუნდები.

ყოველი ქულისათვის ბრძოლა მეტად დაძაბული იყო. უკანასკნელი შეხვედრების წინ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, ვინ იქნებოდა ჩემპიონი. საქართველოს ჰაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კიკნაძე) გაიმარჯვა რსფსრ ფეხბურთელთა კოლექტივთან შეხვედრაში და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

შვილები ნადია, სონია, გალინა, ალექსანდრე, კოლია, გეგეკვან გოცირიძეები, რძლები, ანეტა, ვერა და შვილიშვილები იუწყებიან **მაშო ალექსის ასულ გოცირიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-VIII სოფ. თლუღში (ამბროლაურის რაიონი).

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან **მაშო ალექსის ასულ გოცირიძის** გარდაცვალებას.

ა. კ. რკინიგზის ქალთა კონსულტაციის თანამშრომლები იუწყებიან **ბახვა ოქროპირის-ძე ოჩიგავას** გარდაცვალებას.

ძმები გრიგოლ, ილარიონ, და მართა, ძმისწულები ნათელა, ეთერ, გივი, ნელი, ციალა, ნანული ოჩიგავები იუწყებიან **ბახვა ოქროპირის-ძე ოჩიგავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII სოფ. სეფიეთში (აბაშის რაიონი).

სარა, აპოლონ ურუშაძეები ოჯახით, სევერიან ქუთათელაძე იუწყებიან ბიცოლა **კესარია ივანეს ასულ** გელეიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-VIII სამტრედიაში.

ძმა ამბროსი ბახტაძე, სიძეები გიორგი გორდაძე, მიხეილ ჯვარშეიშვილი, გ. ჯალაღანია, ი. კაკაბაძე ოჯახებით იუწყებიან ლიზა ერმოლეს **ასულ ჭავჭანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-VIII, 8 ს. დაკრძალვა 22-VIII, 6 ს. ენგელსის 48.

თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან **კესარია ივანეს ასულ** გელეიშვილის გარდაცვალებას.

აჩჩევნების წინ დასავლეთ გერმანიაში
მაქს რაიმანის სიტყვა